ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 159

“ 11 ” აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და კერძო პირის ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. №59 (№01.10.12.033.009) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში გასატარებელი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და კერძო პირის - ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ გასატარებელი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 აპრილის №23.494.557 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, კერძო პირის - ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №23.347.387 15.03.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №127, 17.03.2023) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. №59, (№01.10.12.033.009, ფართობი - 438 კვ.მ.) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების განსაზღვრასთან დაკავშირებით - კორექტირებული არქიტექტურული

პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე